მარიამ გაჩეჩილაძე | ალექსანდრე ლაცაბიძე
თავისუფალი უნივერსიტეტი
mgach@freeuni.edu.ge | a.latsabidze@freeuni.edu.ge

ევროკავშირის ენერგოპოლიტიკა რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ

რეზიუმე

ევროკავშირი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას ბუნებრივ რესურსებსა და ნედლეულთან დაკავშირებით, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მისი მრეწველობისა და ინფრასტრუქტურისთვის. ევროკავშირში ბუნებრივი აირის იმპორტირება რუსეთიდან ათწლეულების განმავლობაში ხდებოდა. 2022 წელს, რუსეთის მიერ უკრაინაზე თავდასხმამ ნათლად გამოკვეთა ევროკავშირის დამოკიდებულება რუსულ ბუნებრივ აირზე. ომის დაწყების შემდეგ ევროპაში ენერგოკრიზისი დაიწყო. რუსეთის მხრიდან მოხდა ბუნებრივი აირის ინსტრუმენტალიზება საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების გასატარებლად. ევროკავშირის რეაგირება აღნიშნულ საგანგებო სიტუაციაზე საკმაოდ სწრაფი იყო. ბუნებრივი აირის დანაკლისის შესავსებად, ევროკავშირისთვის პრიორიტეტული გახდა ობიექტების დამატება, რათა სხვა ქვეყნებიდან მომხდარიყო ბუნებრივი თხევადი აირის იმპორტი საზღვაო გზის მეშვეობით. თუმცა, ამ ნაბიჯების მიუხედავად რჩება გამოწვევები ბუნებრივი აირის მიწოდების დივერსიფიკაციისა და ენერგო-მდგრადობის პოლიტიკის შემუშავებაში.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, ბუნებრივი აირი, ენერგოკრიზისი, მილსადენები, დივერსიფიკაცია.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან, ბუნებრივი აირის როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროპის პოლიტიკაში. 1980-იანი წლებიდან ევროპის ქვეყნებმა აქტიურად დაიწყეს ბუნებრივი აირის იმპორტირება საბჭოთა კავშირიდან, რაც დასრულდა რამდენიმე მილსადენის შექმნით (Stern, 2004). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთი ევროპის ბუნებრივი აირის მთავარი მიმწოდებელი გახდა. მიუხედავად ბუნებრივი აირის მზარდი მნიშვნელობისა, ევროპის დამოკიდებულება რუსეთზე განიხილებოდა, როგორც სტრატეგიული სისუსტე და 1995 წლიდან მოყოლებული დაიწყო აქტიური მუშაობა კოორდინირებული ენერგოპოლიტიკის შემუშავებაზე. ევროპის ქვეყნების უმრავლესობას სურდა თავად ჰქონოდა ავტონომია საკუთარ ენერგოპოლიტიკაზე, შესაბამისად, ბევრმა ქვეყანამ უარი თქვა ევროკავშირის საერთო ენერგოპოლიტიკაზე.

ომის დაწყების შემდეგ მიღებული ზომები

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყება გადამწყვეტი მოვლენა იყო ევროკავშირის ენერგოპოლიტიკისთვის. შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა რუსეთს დაუწესეს ყოვლისმომცველი სანქციები (S&P Global Market IntelligenceS&P Global Commodity Insights, 2024). საპასუხოდ, რუსულმა „გაზპრომმა“ შეუჩერა ბუნებრივი აირის მიწოდება პოლონეთსა და ბულგარეთს. ბუნებრივი აირის მიწოდება პრიორიტეტი გახდა ევროკავშირის პოლიტიკური დღის წესრიგისთვის. 2022 წლის 24-25 მარტის ევროსაბჭოს დასკვნები კომისიას ავალდებულებდა, შეემცირებინა დამოკიდებულება რუსულ წიაღისეულ საწვავზე და გაეძლიერებინა სოლიდარობის მექანიზმები წევრ ქვეყნებს შორის. გაზის მიწოდების შეფერხებამ

გამოიწვია ფასების ზრდა, გავლენა მოახდინა სამომხმარებლო და სამრეწველო ხარჯებზე და საფრთხე შეუქმნა ეკონომიკურ სტაბილურობას. ამის საპასუხოდ, ევროკომისიამ წარმოადგინა „RepowerEU“ პაკეტი, რომელიც შეეხება ენერგორესურსების დაზოგვას, დივერსიფიკაციას და რუსეთის ენერგოწყაროებზე დამოკიდებულების აღმოფხვრას (European Commission, 2022).

„RepowerEU“-ს ზომებს შორისაა ბუნებრივ აირზე შიდა მოთხოვნის შემცირება გლობალურ ბაზარზე გავლენის მოხდენის მიზნით (The IEA, 2022). აღსანიშნავია, რომ ფართომასშტაბიან ზომებს მოჰყვა კრიტიკა სახელმწიფოებისა და კერძო სუბიექტების მხრიდან, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ზოგიერთი ზომის მიღებისთვის არ არსებობდა საკმარისი სამართლებრივი საფუძველი. 2022 წლის ივნისის რეგულაცია 2022/1032 წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ 2022 წლის ნოემბრისთვის ბუნებრივი აირის მიწისქვეშა საცავი მინიმუმ 80%-მდე და 2025 წლამდე ყოველწლიურად 90%-მდე შეავსონ (Council of the European Union, European Parliament, 2022). აღნიშნული რეგულაცია მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ ევროკავშირში ბუნებრივი აირის შენახვის შესაძლებლობები არ დარჩეს გამოუყენებელი, რათა ევროკავშირის მასშტაბით მოხდეს საცავების გაზიარება. ამ მიზნით, სასაწყობო ობიექტებში ბუნებრივი აირის მინიმალური სავალდებულო დონე მიზნად ისახავს მიწოდების უსაფრთხოების გაძლიერებას მოკლევადიან პერსპექტივაში. შემდეგმა რეგულაციამ, 2022/1369 შეცვალა ბუნებრივი აირის უსაფრთხოების დირექტივა, რომლის მიზანი იყო 2022 წლის ზამთრისთვის ბუნებრივი აირის მოთხოვნის შემცირება 15%-ით (Council of the European Union, European Parliament, 2022). აღნიშნულ რეგულაციას მხარი მხოლოდ უნგრეთმა არ დაუჭირა.

მზარდი ფასების პრობლემის გადასაჭრელად, ევროკომისიის მიერ შეთავაზებულ იქნა ყოვლისმომცველი რეგულაცია სტრატეგიებით, როგორიცაა რესურსების გაერთიანება ფასების გამჭირვალობისთვის, ბუნებრივი აირის გაზიარება საგანგებო სიტუაციების დროს და „ბაზრის კორექტირების მექანიზმი“, რათა საჭიროების შემთხვევაში დაწესდეს ბუნებრივი აირის მაქსიმალური ფასი (Vecchio, 2024).

მიმდინარე გამოწვევები

ევროპაში ბუნებრივი აირის მიწოდების მკვეთრმა ვარდნამ „გაზპრომი“ აიძულა, 2022 წელს წარმოება 20%-ით შეემცირებინა. თუმცა, ევროკავშირის ბევრი მცდელობის მიუხედავად, ევროპის ქვეყნები კვლავ ახდენენ რუსული ბუნებრივი აირის იმპორტირებას. ევროკავშირის მონაცემებით, რუსეთიდან მილსადენების მეშვეობით იმპორტირებული ბუნებრივი აირის რაოდენობა 2021 წელს 40%-ს შეადგენდა, 2023 წელს კი 8%-მდე შემცირდა (Sullivan, 2024). თუმცა, თუ თხევადი ბუნებრივი აირიც ჩაითვლება, რუსული ბუნებრივი აირის მთლიანი წილი ევროკავშირში 15%-ს მიაღწევს.

ევროკავშირის მიერ რუსულ ბუნებრივ აირზე დამოკიდებულების შემცირების ერთ-ერთი მთავარი გზა იყო თხევადი ბუნებრივი აირის იმპორტის გაზრდა ისეთი ქვეყნებიდან, როგორიც არის შეერთებული შტატები ან კატარი. აღნიშნულმა, თავის მხრივ, გამოიწვია რუსული თხევადი ბუნებრივი აირის ფასის კლება და შემდგომ მისი იმპორტის გაზრდა ევროპის ქვეყნებში. ევროკომისიის მონაცემების მიხედვით, რუსეთი ევროკავშირისთვის თხევადი ბუნებრივი აირის სიდიდით მეორე მიმწოდებელია. 2023 წელს იმპორტირებული თხევადი ბუნებრივი აირის 16% იყო რუსული, რაც 2021 წლის მონაცემებთან შედარებით 40%-იანი ზრდაა.

შესაბამისად, ევროპის რამდენიმე სახელმწიფო, როგორებიცაა შვედეთი, ფინეთი და ბალტიისპირა ქვეყნები ევროკავშირს მოუწოდებენ, რომ სრული აკრძალვა დაადოს რუსულ თხევად ბუნებრივ აირს, თუმცა აღნიშნული ნაბიჯი, ბუნებრივია, ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობას მოითხოვს. ამჟამად ევროკავშირში მიმდინარე დისკუსია ძირითადად მიმართულია რუსული თხევადი ბუნებრივი აირის

ევროპული პორტებიდან რეექსპორტის აკრძალვისკენ (Jucca, 2024). თხევად ბუნებრივ აირთან ერთად, რუსული ბუნებრივი აირის მნიშვნელოვანი რაოდენობა ევროკავშირის ქვეყნებში მილსადენებით კვლავ შედის. 2024 წლის თებერვალში, ავსტრიამ დაადასტურა, რომ 2023 წლის დეკემბერში მისი მთლიანი იმპორტირებული ბუნებრივი აირის 98% სწორედ რუსეთიდან შევიდა (Kurmayer, 2024). ავსტრიის მსგავსად, უნგრეთიც აგრძელებს მილსადენებიდან რუსული ბუნებრივი აირის დიდი რაოდენობით იმპორტს. ძირითადი მიზეზი, თუ რატომ აგრძელებენ ევროკავშირის ქვეყნები რუსული ბუნებრივი აირის მოხმარებას, მისი დაბალი ფასია (Gavin, 2023).

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში კვლავ ხდება ბუნებრივი აირის იმპორტირება რუსეთიდან, რუსული ბუნებრივი აირის იმპორტის საერთო რაოდენობა 2021 წლის მონაცემებთან შედარებით მკვეთრადაა შემცირებული. ევროკავშირმა განაცხადა, რომ მას 2027 წლამდე მთლიანად უნდა რუსულ ბუნებრივ აირზე უარის თქმა. თუმცა, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, რთულია იმის დადგენა, თუ რამდენად რეალისტურია აღნიშნული მიზანი. ბუნებრივი აირის წყაროების დივერსიფიკაციისკენ გადადგმული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი არის თხევადი ბუნებრივი აირის აქტიურ გამოყენებაზე გადასვლა, რამდენადაც რუსეთის გარდა, სხვა ქვეყნებსაც შეუძლიათ მისი დიდი რაოდენობით მიწოდება ევროკავშირისთვის.

რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული აგრესიის შემდეგ განვითარებული მოვლენები, ხაზს უსვამს წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის აუცილებლობას. ევროკავშირის მიერ შემოღებული სარეგულაციო მექანიზმები ცხადყოფს მის სტრატეგიას, რომ თავად უზრუნველყოს საკუთარი ენერგეტიკული მომავალი მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ცვლილებების კონტექსტში, რაშიც სულ უფრო და უფრო მზარდი როლი ენიჭება კოორდინირებულ მოქმედებასა და თანამშრომლობას წევრ სახელმწიფოებს შორის.

ბიბლიოგრაფია

Council of the European Union, European Parliament. (2022, August 5). *Considerations on COM(2023)174 - Amendment of Regulation (EU) 2022/1369 as regards prolonging the demand reduction period for reduction measures for gas and reinforcing the reporting and monitoring of their implementation*. Retrieved from EU Monitor: https://www.eumonitor.eu/9353000/1/j4nvhdlglbmvdzx_j9vvik7m1c3gyxp/vm1jhr8j4uyt#:~:text=Regulation%20(EU)%202022%2F1369%20was%20adopted%20on%20the%20basis,with%20temporary%20measures%20in%20a

Council of the European Union, European Parliament. (2022, June 30). *Regulation (EU) 2022/1032 amending Regulations (EU) 2017/1938 and (EC) No 715/2009 with regard to gas storage*. Retrieved from European Sources I: https://www.europeansources.info/record/proposal-for-a-regulation-amending-regulation-eu-2017-1938-concerning-measures-to-safeguard-the-security-of-gas-supply-and-regulation-ec-no-715-2009-on-conditions-for-access-to-natural-gas-transmi/#:~:text=This%20Re

European Commission. (2022, May 18). *REPowerEU: Affordable, secure and sustainable energy for Europe*. Retrieved from European Commission: https://commission.europa.eu/strategy-and-policy/priorities-2019-2024/european-green-deal/repowereu-affordable-secure-and-sustainable-energy-europe_en

Gavin, G. (2023, October 22). *Hungary to ramp up Russian gas imports for winter, says Gazprom*. Retrieved from Politico: https://www.politico.eu/article/hungary-ramp-up-russian-gas-imports-winter-gazprom-alexey-miller/

Jucca, L. (2024, January 11). *EU's energy security drive may have gone too far*. Retrieved from Reuters: https://www.reuters.com/breakingviews/eus-energy-security-drive-may-have-gone-too-far-2024-01-11/

Kurmayer, N. (2024, February 12). *Austria's dependence on Russian gas rises to 98%, two years after Ukraine war*. Retrieved from Euractiv: https://www.euractiv.com/section/energy-environment/news/austrias-dependence-on-russian-gas-rises-to-98-two-years-after-ukraine-war/

S&P Global Market IntelligenceS&P Global Commodity Insights. (2024, June 4). *Sanctions against Russia – a timeline*. Retrieved from S&P Global: https://www.spglobal.com/marketintelligence/en/news-insights/latest-news-headlines/sanctions-against-russia-8211-a-timeline-69602559

Stern, J. (2004). Natural Gas in Europe – The Importance of Russia . *Gas Research, Oxford Institute for Energy Studies*, 1-3.

Sullivan, A. (2024, April 29). *War in Ukraine: Why is the EU still buying Russian gas?* Retrieved from DW: https://www.dw.com/en/war-in-ukraine-why-is-the-eu-still-buying-russian-gas/a-68925869

The IEA. (2022, December). *Is the European Union on track to meet its REPowerEU goals?* Retrieved from The IEA: https://www.iea.org/reports/is-the-european-union-on-track-to-meet-its-repowereu-goals

Vecchio, A. (2024). Changing the Flow: The European Response to the Russian Weaponization of Gas. *Insight* , 41-42.